USAID-ის პროგრამა
ერთიანობა მრავალფეროვნებაშია

კერძო სექტორში სტაჟირების პროგრამა

კერძო სექტორში სტაჟირების პროგრამა

საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNA Georgia), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ფარგლებში, აცხადებს კერძო სექტორში სტაჟირების პროგრამას. პროგრამა განხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, კერძო სექტორთან თანამშრომლობით.

სტაჟირების პროგრამის მიზანია ახალგაზრდების მიერ პროფესიული სამუშაო გამოცდილების, სამუშაო ეთიკის და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი უნარ-ჩვევების შეძენა და მათი დასაქმების პერსპექტივის გაუმჯობესება.

სტაჟირების პროგრამაში კერძო კომპანიის ჩართვა
სტაჟირების პროგრამაში მიმღებ ორგანიზაციად ჩართვის სურვილის შემთხვევაში, კერძო კომპანიებმა მათი დაინტერესების შესახებ უნდა აცნობონ საქართველოს გაეროს ასოციაციას შემდეგ ელ. ფოსტაზე: rchanturia@una.ge(გთხოვთ, subject line-ში მიუთითეთ: კერძო სექტორში სტაჟირების პროგრამა).

სტაჟირების პროგრამის მოსარგებლეები
პროგრამის მოსარგებლეები იქნებიან USAID-ის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ პროგრამის მონაწილე ახალგაზრდები (18-29 წლის) საქართველოს 14 ქალაქიდან (თბილისი, ქუთაისი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ბათუმი, გორი, თელავი, ნინოწმინდა, ახალქალაქი, ახალციხე, დმანისი, მარნეული, გარდაბანი და ახმეტა).

სტაჟირების პროგრამის განმახორციელებლები

საქართველოს გაეროს ასოციაცია – სტაჟირების პროგრამის კოორდინატორი:

- შეიმუშავებს სტაჟირების გავლის წესსა და პირობებს.
- კოორდინირებას უწევს ადმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტას.
- ხელს უწყობს სტაჟირების პროგრამით გათვალისწინებული პირობების განხორციელებას (კერძო ბიზნესის მოთხოვნების მიხედვით, კანდიდატურების შერჩევას და წარდგენას).
- განიხილავს და აწესრიგებს სტაჟირების პროგრამასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
- გაეროს ასოციაცია უზრუნველყოფს სტაჟიორისთვის ყოველთვიური სუბსიდიის (600 ლარის ოდენობით) 80%-ის გადახდას (თვეში 480 ლარის ოდენობით).
- უზრუნველყოფს შერჩეული სტაჟირების კანდიდატებისთვის ტრენინგს „სამუშაოსთვის მზადების“ მიმართულებით.

მიმღები ორგანიზაცია (კერძო კომპანია) უზრუნველყოფს:

- სამუშაო გარემოს კეთილმოწყობას და უსაფრთხოებას.
- სტაჟიორისთვის კონკრეტული სამუშაოს გამოყოფას, სადაც გათვალისწინებულია უნარების განვითარების და ცოდნის გადაცემის ელემენტი.
- გამოყოფს სტაჟიორის ხელმძღვანელს (სუპერვაიზორს), რომელიც უძღვება სტაჟიორის საქმიანობას ადგილზე, ახდენს სტაჟიორისთვის კონკრეტული დავალებების განსაზღვრას და უნარ-ჩვევების განვითარებას, მათ შორის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების გზით.
- სტაჟიორის ყოველთვიური სუბსიდიის 20%-ის (თვეში 120 ლარის ოდენობით) ანაზღაურებას.

პროგრამის მოსარგებლე სტაჟიორი:

- შერჩეული კანდიდატები სტაჟირებაში ჩაერთვებიან მიმღებ კერძო კომპანიაში, სტაჟიორის ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ.
- სტაჟიორი, ხელმძღვანელის ინსტრუქციებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, უშუალოდ საქმიანობის პროცესში სწავლობს სამუშაოს შესრულების სპეციფიკას.
- სტაჟიორი მოქმდებს კეთილსინდისიერად და იცავდეს კერძო კომპანიის შინაგანაწესს.
- სტაჟიორი ვალდებულია, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, არ გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამუშაო პროცესში, როგორც სტაჟირების პერიოდში, ისე მისი დასრულების შემდეგაც.
- სტაჟიორს ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა მიმღები ორგანიზაციის ქონების დაზიანების შემთხვევაში.

სტაჟიორის შერჩევის პროცესი

- საქართველოს გაეროს ასოციაცია ახდენს შერჩევის პროცესის ადმინისტრირებას და ხოლო ბიზნეს კომპანია იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას სტაჟიორის შერჩევაზე, გაეროს ასოციაციის წარმომადგენელთან კონსულტაციით და სტაჟიორობის კანდიდატთან გასაუბრების შედეგად.
- სტაჟიორების შერჩევისას გათვალისწინებული იქნება ეთნიკური და გენდერული ბალანსი, ასევე მიმღებ ორგანიზაციაში გასანაწილებლად - სტაჟიორის ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი.
- კერძო კომპანიაში სტაჟიორის კომპეტენციების შესაბამისი ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში წარმატებული სტაჟიორი შესაძლოა განიხილებოდეს დასაქმების კანდიდატად. აღნიშნული პუნქტი არ წარმოადგენს სტაჟიორის მიმღები კომპანიის მიერ წინასწარ აღებულ ვალდებულებას.

სტაჟირების ხანგრძლივობა, სამუშაო გრაფიკი და სამუშაო დრო

- სტაჟირების ხანგრძლივობა არის მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 6 თვე, ხოლო სტაჟიორის სამუშაოს ხანგრძლივობა - კვირაში 20 საათი. სტაჟიორის სამუშაო გრაფიკი თანხმდება სტაჟიორის ხელმძღვანელთან.

- სტაჟიორს არ მოეთხოვება ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება. სტაჟიორის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ზეგანაკვეთური სამუშაოს ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 10 საათს.

სტაჟირების პროგრამის ეტაპები

ეტაპი 1: საქართველოს გაეროს ასოციაცია, ბიზნეს და დარგობრივი ასოციაციებთან, USAID-ის საქართველოს მისიის ეკონომიკური განვითარების პროგრამებთან და კერძო სექტორთან ინდივიდუალური დიალოგით, კერძო სექტორს მიაწოდებს ინფორმაციის სტაჟირების პროგრამის შესახებ.

ეტაპი 2: დაინტერესებული კერძო კომპანიებისგან ინტერესის შემთხვევაში, გაეროს ასოციაცია გამოითხოვს ინფორმაციას:

- ► თუ რა უნარები და გამოცდილების მქონე სტაჟიორი სჭირდება კომპანიას.
- ► სტაჟიორის სამუშაო აღწერას და კერძო კომპანიის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
- ► კერძო კომპანიისგან მიღებული ინფორმაციის შედეგად, გამოაცხადებს ვაკანსიას.
- ► შემოსული აპლიკაციების განხილვის შედეგად, მოხდება იმ კანდიდატების იდენტიფიცირება, რომლებიც გასაუბრების ეტაპზე გადავლენ.
- ► დაიგეგმება ერთობლივი გასაუბრების პროცესი - გაეროს ასოციაციის და ბიზნეს სექტორთან ერთად.
- ► საბოლოო გადაწყვეტილებას სტაჟიორის შერჩევაზე იღებს ბიზნეს კომპანია.
- ► შერჩევის შემდეგ, გაეროს ასოციაციას, მიმღებ ორგანიზაციასა და სტაჟიორს შორის დაიდება სამმხრივი კონტრაქტი.
- ► შერჩეულ კანდიდატებს, გაეროს ასოციაცია გაატარებს ტრენინგს „სამუშაოსთვის მზადების“ მიმართულებით.

საქართველოს გაეროს ასოციაციის სოციალური მედია არხები